ცნობის ფურცელი

№ 1781 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 14 აპრილი № 1781

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

„ცნობის ფურცლის“ მე-1782 №-რი გამოვა ოთხშაბათს, 17 აპრილს

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-36 ნომერი.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ღამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

წლიური მორიგი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა გადიდვა, წევრთა საკმაო რაოდენობის გამოუცხადებლობით, 16 აპრილის, დღით სამშაბათის, დილილის ათი საათისთვის. კრების განსახილველი საგნები იგივეა, რაც განცხადებული იყო, აგრეთვე ადგილი კრებისა (ს. კუხი, ამხანაგობის სამმართველო). ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

ამხანაგობის მმართველი
(2—2) **ნ. წერეთელი.**

ქართული თეატრი
ბედნიერ დღეებში, აღდგომის კვირას
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
გაიმართება ს ა მ ი წარმოდგენა
✿ დაკლებულის ფასებით ✿

პირველი—ორშაბათს, 15 აპრილს
ქართველი დედა
ისტ. დრამა 4 მოქ. გადმოკ. ა. ცაგარლის მიერ.
—
მეორე – ხუთშაბათს, 18 აპრილს
კონსტანტინე გატონიშვილი
(ქეთევან წამებული)
ისტ. დრამა 5 მოქ. და 6 სურ. ა. ყაზიბეგისა.
—
მესამე – კვირას, 21 აპრილს (კვირა-ცხოვლობას)
ლეკის ქალი გულჯავარ
ისტ. დრ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.
მსხვერპლი მსხვერპლისათვის
თანამედროვე დრამა 3 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, რჩეულოვისა და სხ.; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე. შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, იორდანოვი, საფაროვი, სიმონიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია:
პარტერი 50 კაპეიკიდან 1 მ. 50-მდე, ლოჟები 3 მან., გალერეია—20 კაპ., კუპონები ლოჟებში—80 კ., შეგირდებისათვის ადგილები—40 კაპ.
რეჟისორი **ვ. გუნია.**

საალდგომოთ.

(„ცოდვილთა“ მიმართ)

რასა მეტყვით მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვი თქვენ?

ქრისტე აღსდგა...

ვინ აღსდგა, ვის მოგილოცოთ მისი აღდგომა?

აღსდგა ღმერთი სინათლისა, სიყვარულისა და სამართლიანობისა!

ღმერთი სულის ძლიერისა, რომელიც სიმართლისათვის ეკლის გვირგვინით შეამკეს და გოლგოთაზე ჯვარს აცვეს!

თქვენ მოგილოცოთ მისი აღდგომა და გიკვლიოთ წითელი კვერცხი? თქვენ? და თქვენ გრწამთ განა იგი, აღიარებთ მის მცნებას, თაყვანს სცემთ მას?

„შეიყვარეთ ღმერთი ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თქვენითა“, ქადაგებდა ქრისტე. თქვენ კი არ გიყვართ ღმერთი: თქვენი გული არ სცემს ქრისტესთვის, გონება თქვენი არ იცნობს იმას, სახელი მისი არ ამშვენებს სახელსა თქვენსა!

„სინათლეში იარეთო“. თქვენ-კი ბნელში სცხოვრობთ და თვალნი თქვენნი არა ჰხედავენ სიბილწესა ცხოვრებისასა, „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერიო“. გონება თქვენი კი დაჩლუნგებულა და სული მიილტვის ქვესკნელისაკენ; გრძნობა თქვენი არ ამაღლდება და ფიქრნი თქვენნი ანგარებისა, ღალატობისა და სიმდაბლისაგან იხრწნებიან!

„შეიყვარეთ მოყვასი თქვენი, ვით თავი თქვენიო“. თქვენ კი სჭამთ მოძმეს და სისხლს სწოვთ მოძმესა თქვენსა; არა მისცემთ ჰამადს მშიერსა, არა შემოსავთ შიშველსა, არა მიხედავთ სნეულსა და არა მიხვალთ საპყრობილესა მყოფთან!

„ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოსო“. თქვენ კი არა ეძიებთ, არა რეკთ; მშიერნი ხართ, და არა გინდათ ჰამადი ჰქონდეთ, სნეულნი ხართ, და არა გინდათ, განიკურნოთ, უსინათლონი ხართ, და არა გინდათ, ნათელი მოიპოვოთ!

„ნეტარ არიან დევნილნი ჩემთვის“, სთქვა ღმერთმა სიმართლისა და სამართლიანობისამ. თქვენ-კი ვერ წარმოგითქვამთ სახელიც მისი...

არა, თქვენ არ გრწამთ ქრისტე, არ აღიარებთ მისს მცნებას, თაყვანს არა სცემთ მას!

იგი არ არის თქვენი ღმერთი, თქვენთვის არ მოსულა იგი! მე თქვენ ვერ გეტყვით: ქრისტე აღსდგა!

—

მაშ, თქვენ მოგილოცოთ ქრისტეს აღდგომა? თქვენ მოითხოვთ ამას?

თქვენ ხართ ქრისტეს მიმდევარნი? თქვენთვის არსებობს ქრისტე? თქვენ ხართ ქრისტესთან?

მერე ვინ გაგზავნა ქრისტე გოლგოთაზე? ვინ გამოაცხადა იგი ქვეყნის მტრად, ვინ სდევნიდა მას?

თქვენ არ სდევნიდით?

ვინ იძახოდა: ჯვარს აცვ! სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა? თქვენ არ იძახოდით?...

ვინ შეამკო იგი ეკლის გვირგვინით, შემოსა ძოწეულით, ვინ სცემდა და დასცინოდა მას?

თქვენ არ დასცინოდით?...

თქვენ მტერი ხართ ქრისტესი! თქვენი ღმერთი ბელზებულია! თქვენ იროდთან ხართ, თქვენი მოკავშირე იუდაა!

და თქვენ მოგილოცოთ ქრისტეს აღდგომა?

არა, შორს ჩვენგან! არა, მე თქვენ არ გეტყვით: ქრისტე აღსდგა! იუდამ გეამბოროთ და მოგილოცოთ თქვენ!

—

არა, თქვენ დაგსძლევთ გალილეველი, და მაშინ ვიტყვი მე: ქრისტე აღსდგა!

სიფუვა

ტ ა ლ ღ ე ბ ი

(ესკიზი)

ტალღა ტალღას ეჯახება, ღელვა მატულობს და მისი მედგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჰაერში, ამოძრავებს გაჩერებულ სივრცეს და სადღაც შორს შავი და მიუვალი ხევ-ხუვი აძლევს მას ყრუ გამოძახილს... დიდებული რამ არის შავი ზღვის ცოფიანი ტალღა და მეც, როდესაც კი შემთხვევას ვიშოვნი, მივრბი მის ნაპირებზე, რომ ვუცქირო, ვუცქირო მის ვაჟკაცურ ღელვას...

ერთი ღრიალი კიდევ და მე მუხლებზე მადგება წყალი. მესმის ქვიშის ჭახუნი, ფეხებ ქვეშ მეცლება სადგომი და ლამის არის წავიქცე. თავს ვინაგრებ, წასვლით კი მაინც არ მივდივარ. ერთხელ კი, როდესაც მე ამავე ალაგას ვიდექ და ამ თვალ გადაუწვდენელ, აქაფებულ სივრცეს გავყურებდი—შეუმჩნევლად წამომეპარა ტალღა, მღვრიე წყალი მუხლამდე მომადგა და უცბათ, თითქო დამცინისო, ხარხარით გასწია უკან. მე კი ავილე და გადავაფურთხე მას.

„თფუ! შეგაჩვენოს ღმერთმა!“ წამოვიძახე და თეთრ შარვალზე დავიხედე.

მე მძულდა მაშინ ის, მე მზარავდა მისი ღრიალი, მძაგდა ის ტალახი და სიბინძურე, რომელიც მას ასე ერთგულათ გამოჰქონდა ნაპირზე და ტოვებდა... რა ვიცოდი მაშინ, თუ იმ ტალახს მზე გააშრობდა და ზღვას კი გული ეწმინდებოდა! ის ხომ ადამიანი არ არის, რომ გულის ჩაბინძურება აიტანოს?.. მე მჭრიდა თვალებს მისი ქეჩო—აყრილი სრბოლა, ვერ ვუძლებდი ამ აურაცხელი სივრცის ბობოქრობას და ჯოჯოხეთურ ღრიალს, ბრძოლის ყიჟინას... ხმაურობა მძულდა. იმიტომ რომ... მიყვარდა! დიახ, ოდესღაც მეც მიყვარდა ვიღაცა!

ნუ კი გიკვირთ განა, ვიმეორებ მიყვარდა და ამიტომ მძულდა ხმაურობა! ვინა? ვინა და ქალი! და ქალის სიყვარულს ხომ უარი უთქვამს ძლიერ ტალღისათვის, მას ხომ არ სწამს არავითარი ტალღა მის საკუთარ გულს გარეშე... თუ გიყვარს ქალი—უარყო უნდა სულ-ყველაფერი, ძლიერი ტალღაც, თავის თავიც და მარტო-ოდენ გწამდეს უნდა ის, ვინაც გიყვარს, მის მხურვალ მკერდზე უნდა ნახო ნავთ-საყუდელი, მარტო მის გულს უნდა სცემდე თაყვანს, როგორც ღმერთს, და დასთმო უნდა გარეშემო ქვეყნიერება! ოჰ, ქალო, ქალო! მოვესწრებით კი იმ ბედნიერ დღეს, რომ ეს ჩემი სიტყვები სიცრუე დარჩეს? მოვესწრებით კი იმ სურათს, რომ დედა-კაცი აქეზებდეს მამა-კაცს გმირულ საქმეზე? ვეღირსებით კი იმ დროს, რომ შენი ლამაზი ბაგენი გზას ულოცავდეს მებრძოლთ? მენახა მაინც ამისი მახარობელი მერცხალი!..

ეხლა სულ სხვაა, ჩემი სატრფო სხვას უმშვენებს მხარს, მე მომიძულა, რომ უკეთესი მოენახა!.. გზა მშვიდობისა!.. და თუ კი ეს ასე ხდება, თუ კი სატრფოს ღალატი ტალღას შეაყვარებს ადამიანს, დეე, გაუმარჯოს ასეთ ღალატს!.. ღალატი ის სთქვი, ყოველ ტალღას გარეშე რომ გტოვებს!

ეხლა აღარ გავურბი ტალღებს. ხშირად მოვდივარ ამ ალაგას და გავცქერი მას. შორს, ძლიერ შორს იბადება ის, იკუზებ-იკუმშება, იზმორება, მოდის ჯერ ნელა, მაგრამ თანდა-თან უმატებს სვლას, ჩქარდება და ბოლოს გიჟური ხარხარ-ღრიალით ეხეთქება ნაპირს, იპნევა ჰაერში მისი ცინცხლები, ათასნაირად ბრჭყვიალებენ ისინი მზის სხივებს ქვეშ და შემდეგ-კი ქურდულათ მიიპარება უკან, რომ ღონე მოიკრიფოს, სული მოითქვას და კვლავ წამოვიდეს, კვლავ ამოფურთხოს უვარგისი ნერწყვი და გაწმენდილი წავიდეს უკან... ჩემი გულიც ილვიძებს ამ დროს, ღონეს იკრეფს, გაბედული ხდება, მთხოვს ერთი დავიყვირო, ისეთი ვიყვირო, რომ ცა და ქვეყანა შევძრა, ყველაფერი უვარგისი და ცუდი შევყარო ერთად და მერმე, ვიქცე რა წყლად, გავლეკო ისინი ცხოვრებიდან... საწყალი გული!.. ეს ის მონაზონია, რომელიც თურმე ცისა და ქვეყნის სატირალს სტიროდა! საწყალი გული! ადამიანი როდი ტანჯულა—ის იტანჯა, ადამიანი კი არ ითმენდა დამცირებას—ის ითხოვდა, ადამიანი კი არ ტიროდა—ის ტიროდა, ის ღვრიდა მწარე ცრემლებს, ადამიანი კი არ ჰქმნიდა სასწაულებს—გული ჰქმნიდი!.. და მტერი ადამიანისა—მტერი იყო გულისა? საწყალი გული! მას სდევნიდნენ მშობლები, როდესაც ჩასციებოდნენ: შენი თავი ჯამაგირში გაჰყიდე და ჩვენ გვარჩინეო, მას სდევნიდა სატრფო, როდესაც უბრძანებდა: უარჰყავ ყველაფერი და შემომიდექ მეო, მას სდევნიდა ბრბო მწიგნობართა და ფარისეველთა, ბრბო ძლიერთა ამა ქვეყნისათა, როდესაც მან აღალო ბაგე ჭეშმარიტების სალაღადებლად. მე მას ვხედავ გოლგოთაზე, უწმინდესი ინკვიზიციის კოცონზე, მე იქ ვერც გუსსა ვხედავ, ვერც ბრუნოს, იქ ვხედავ მხოლოდ გულს და მარტო გულს!.. საწყალი გული!..

და გული ჩვენი იგივე ბუდე არ არის ტალღებისა? და მერე როგორი ტალღების?! კიდეც იმიტომ უყვარს იმას ტალღების ცქერა, ძმობილისა და თანამოაზრეს ხმა ესმის მას მის გრგვინვაში, ნათესავია ზღვის ტალღა მის ტალღის...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექ ტალღების წინაშე... ხველამ გამომარკვია! გვერდში სიმშვიდე და სიწყნარე მედგა.

— რა ამბავია, ღელავს? დავეკითხე მე,— რას აპირებთ?

არაფერს! მივიღე პასუხად. ჩემ გვერდით არავინ აღარ იყო.

მადლობა უფალს! ამასაც მოვესწარ, რომ ყოვლის შემძლემ თავისი სისუსტე აღიარა! მე კინაღამ მოვიხარე მუხლი ტალღების წინაშე ოჰ, დიდებულო ტალღავ, რა მიყვარხარ შენ! მოდი, სანატრელო!..

ტალღა ტალღას ეჯახება, ღელვა მატულობს და მისი მედგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჰაერში, ამოძრავებს გაჩერებულ სივრცეს და სადღაც შორს შავი და მიუვალი ხევ-ხუვი აძლევს მას ყრუ გამოძახილს... დიდებული რამ სურათია შავი ზღვის ცოფიანი ღელვა და მეც, როდესაც კი შემთხვევას ვიშოვნი—მივრბი მის ნაპირებზე, რომ ვუცქირო და ვუცქირო მის შეუდარებელ ღელვას...

მცირიშვილი.

გაზაფხული

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს ივ. ბუქურაულს)

... როცა მზე თოვლებს გააქრობს,
ზვავები ჩამოთხელდება,
ზაფხულის მახარობელი
მერცხალი შამოჰყივლდება;
ყინვისგან გახუნებულსა
მთას ქედი შაუმწვანდება;
წითელ-ყვითელა ყვავილნი
ხევხუვში ამოჰრელდება,
სიცოცხლე მოწყურებული
ბალახი ამოღელდება!
გზა გაკვლეული ნაკადი
რიყეზედ ჩამომღერდება,—
მზე ზამთრის წასვლას მახარებს,
თვალებში ჩამაშტერდება.
მეც მოვწოვ ძუძუს მთისასა
გული მკერდს ამიჩქროლდება;
დავეწაფები ცის ნამსა,
სიცოცხლე გამიცხოვლდება,
დაიწყებს სისხლი ბრუნვასა,
ფრთოლი ამითრთოლდება;
უკეთეს მომავლისა
იმედი ამიყვავდება!!

თ. რაზიკაშვილი.

„თურქმენული ცაენი“ *)

(დასასრული*)

მანამდის ამ კარს შევალებდეთ, როგორ მოითმინოს კაცმა, რომ პატარა ხანს არ შეფიქრდეს. ასალებ-დასალები, გამოსარკვევი და კაცობრივის მსჯელობის შესაწონი საგანი ყოველს საქმეში ურიცხვი არის ხოლმე და ამ მოთხრობაშიაც არის, რასაკვირველია. ამბავი, რაც უნდა შემოკლებული იყოს, კაცი თუ ყოველსავე გამოსაკიდებელს გამოეკიდა, შეიძლება ყარამანიანის ოდენი წიგნი დაიწეროს. მაგრამ, მე რომ ადამიანის ხასიათი ვიცი, აქ მკითხველის ყურადღებას მარტო ორს საგანზე მოვითხოვ:

უფლება და სამართალი არის რამე იმ ქვეყანაში თუ არა, რომ ალლაიარის მდგომარეობაში მყოფმა კაცმა მთავრობას მიჰმართოს და იმისაგან ითხოვოს სამართალი ამგვარის მტაცებლობისა?—ეს ერთი.

ნურ-ალასაგან რომ აქ კრინტი არა ამოღებულა-რა, სხვა ქალებიც ამ მდგომარეო-

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 1779.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში არიან აქა, თუ მარტო იმას დაემართა, რაც დაემართა?—ეს მეორე.

დიაღ, მართალია, რომ ამ ორი საგნის გამოძიება მაგდენად არაფრად არის საჭირო არც შენთვის, ჩემო უძვირფასესო მკითხველო, და არცა ჩემთვისა; მაგრამ ცოდნა ვის მოსჭარბებია და აქ რომ ცოტაოდენი ვილაპარაკოთ რამე, ზარალი მაინც ვის რა მოუვა.

მართვა და მსჯელობა უეჭველია ყოველს ქვეყანაში არის, მაგრამ იმდენ-ნაირი, რამდენ-ნაირიც ხალხი და საზოგადოებაა ქვეყანაზე, სხვა-და-სხვა ტომისა და სხვა-და-სხვა ჰსჯულისა.

ალლაიარს სპარსეთში მოსტაცეს ცოლი და თურქესტანში გაიყვანეს. სპარსეთში და თურქესტანში, მოგეხსენებათ, თემის მმართენლნიც არიან, მაზრისაცა და სოფლისაცა; იმათი დაწყობილობაც ისე არის შეთანხმებული იქაურს ადგილ-მდებიარობასთან, ქვეყნის ჩვეულებასთან და საზოგადო მსჯელობასთანა, როგორც ყოველგან სხვაგანა. იმათი ხელმწიფობითი წესდებულება და იმათი სამართლის კანონები ქართულს ენაზე რომ გადმოთარგმნილი წინ გვედვას და გულისყურით წაიკითხოთ, ასე იტყვით, რას ემართლებიან იმ ქვეყნებსა, ყოველივე დაწყობილება დიაღ კარგი ჰქონიათო. მაგრამ საქმით კანონი უღონოა და ბოროტ-მოქმედება იქაურის მმართველობის მოსამსახურეებისა იქამდინ არის გავრცელებული, რომ თვითმნებელობა უძევს საფუძვლად ყოველს მმართველსა და მსაჯულსა. ქვეყნის სიკეთისა და მშვიდობიანობისათვის რომ იქ გულით ჰზრუნავდეს ვინმე, თვითონვე იტყვის: „ერთი კაცმა მკითხოს, მე რაღაზე ვიცივებ თავსაო“—ასე იტყვის კაცი, თუ რომ სვინიდისი, ეს ზეციერისაგან მიჩენილი მოსამართლე, არ დაჰსდუმებია და გული არ გაჰქვავებია. მანამდისინ საზოგადო თვისება არ მოგვაგონდება ადამიანის ხასიათისა, ასე უნდა ვიტყოდეთ: ქვეყანაზე არა იქნება-რა არც სახიერება და სათნოება ისეთი, არცა სიპილწე და სიმყრალე ზნეობითი, რომ კაცს იმისი შეჩვევა გაუჭირდებოდეს. საოცარი ქმნილება არის კაცი: მფლობელი არის აუარებელის ნიჭისა და, თუ მოიწადინა, შეუძლია ძლიერება უძლეველი და სიწმინდე ანგელოსის შესადარებელი შეიმოსოს; თუ არა და შეუძლია დამდაბლდესცა სულითა თუ ხორცით უმდაბლეს ყოვლად საზიზღარის ქვე წარმავალისა.

თურქესტანშიაც ისეა ხალხი შეჩვეული მმართველების უსვინიდისოებასა და ბოროტმოქმედებასა, რომ, ზემოთ რო ვსთქვით—„მე რაღაზე ვიცივებ თავსაო“,—ამას კი აღარავინ იტყვის, სხვა რასმე ღონისძიებას მოიხმარს თავისის წადილის შესასრულებელსა, ისეთს ღონისძიებასა, რომ საზოგადო ზნეობითს გარყვნილებას შეეფერებოდეს.

ალლაიარს რომ თურქესტანის მთავრობისათვის მიემართა, მოურავებისა, დივანბეგებისა, ბეგლარ-ბეგებისა, მსაჯულებისა და მსაჯულთ უხუცესების კარებების ცვეთას მოუნდებოდა თვითანაცა და ყოველი იმისი საცხოვრებელიცა; ამიტომ რომ,—აღორძინდით და განმრავლდითო,—ამის მაგიერად სხვა სიტყვა არის ჩვეულებით ჰსჯულად დადებული იქაურს მოხელეებში:—„ისარგებლეთ და იცხოვრეთ, გვასარგებლეთ და გვაცხოვრეთო“.—ალლაიარმა კარგათ იცოდა ეს ჩვეულება ჰსჯულთ უმტკიცესი და მიანება დრომდის თავი გულის დამჩაგვრელს თავისს საქმესა.

ახლა, ნურ-ალამ რატომ ხმა აღარ ამოიღო ნასრულლა რომ იტაცებდაო.

ნურ-ალა, ნუ დავივიწყებთ ამასა, ქალი იყო და სადაც კი კაცის ბუნებაზე ყარამანიანის ოდენი წიგნი დაიწერება, იქ ქალის თვისებასა და ქალის მნიშვნელობას არც ოთხი წიგნი ეყოფა ასაწერად და განსამარტებლად.

რაც ამაზე სხვა-და-სხვა საქვეყნო ჩვეულებაში სხვა-და-სხვა აზრი არსებობს, რამდენსამე უმთავრესს აქ მოგახსენებთ და იმედი მაქვს, რასაც აქ სხარტულად გამოგიხატავთ, ისიც საკმაო იყოს ფილოსოფიურის მსჯელობის შესაფიქრებლად.

სადაც წარმართება და კერპთ-თაყვანისცემა არსებობს, იქ ქალისას იტყვიან, იმისთვის არის გაჩენილიო, რომ გულის-თქმა მამრისა, ან ასე ვსთქვათ, ბუნებითი მიზიდულება სქესებრი მოიოხებოდეს და შესრულდებოდესო. სხვა არც არა მნიშვნელობა აქვს იმათში ქალსა და არც არა ღირსება კაცობრივი. ზოგან ისეა ქალი ჰსჯულით დამდაბლებული, რომ დაქვრივებული ცოლი სახმილში (ცეცხლში) თან უნდა ჩაჰყვეს ცოცხალი მიცვალებულს ქმარსა და იმასთან ერთად უნდა დანაცრდეს.

მაჰმადიანები ცოტა უფრო მაღალს ხარისხზე აყენებენ ქალის მნიშვნელობასა. მართალია, ქალს იმათში არც საზოგადო საუბარში გარევა შეუძლია, არც სამსჯელო თუ სამეცნიერო ბაასში და არც არა ქვეყნის გამოსადეგ საქმეში რაშიმე, რადგან ჭკუა მოკლე აქვსო, ასე ამბობენ და სჯერათ კიდეცა, რასაც ამბობენ; მაგრამ შინაობაში სახლის მართვა და ბატონის ქმრის სიამოვნება ქალსა აქვს მითვისებული. კანონი აღიარებს ქალსა საშინაო მოსამსახურედ და მემცხედრედ ქმრისათვის, ან ასე ვსთქვათ ცოლად, თანამწოლად და კაცს ნება აქვს სამი ერთად იყოლიოს ამ გვარი ცოლი კანონიერად და რამდენისაც რჩენა შეეძლოს, იმდენი უკანონოდ. არც კანონიერთაგანსა და არც უკანონოთაგანს ქმართან ხმა სულ არა აქვს არც შინ და არც გარეთ; ბრძანება ქმრისა უცვალებელი არის.

ქრისტიანენი, სწორედ ღვთიურის ჰსჯულის აღმსარებლები, ვამბობთ, რომ სული ქალისა და სული კაცისა თანასწორ არიანო ღვთისა წინაშე; ქალი არის მეუღლე, შეტოლებული მეგობარი კაცისა, იმდენად პატივცემული, რომ ზოგიერთს საქვეყნო ჩვეულებაში უწინ ისინი იხსენებიან: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ცოლ-შვილი, ქალ-ვაჟი. აღვიარებთ, რომ ქალის ნიჭიერება ხან-და-ხან გადააჭარბებს კიდეცა კაცის ნიჭიერებასა და ქალი არის ის ქვაკუთხედი, რაზედაც ეფუძნება ამ წუთის სოფელში სიამოვნება და ბედნიერება კაცისა და მეგობრობითად წარიმართება ხელი სათნო და საამო ცხოვრებისათვის.

ქალებზე ეს არის უმთავრესი მოძღვრება ჩვენი სარწმუნოებისა და სარწმუნოებაზე დამყარებულის ჩვეულებისა და სხვას არას ჰსჯულში არ არის ქალის მნიშვნელობა ამ სიმაღლემდის აყვანილი.

მაგრამ ჩვენს ქრისტიანობაშიაც რამდენნაირად არის შევიწროვებული თუ გავრცელებული კაცობრივი სამართალი ქალისა, ამას ვინ მოსთვლის.

ზოგან პატივი შესაბამი ჰსძევს ქალსა; მაგრამ წრე იმის მოქმედებისათვის არის სახლი, გათხოვებამდინ სამშობლო და გათხოვების შემდეგ—საქმრო.

ზოგან გათხოვებამდინ სრულიად არაფერი ნება არა აქვს-რა ქალსა და რა რომ ქმარს შეირთავს, მაშინ კი თავისუფალია და წევრი საზოგადოებისა.

ზოგან გათხოვებამდინა აქვს სრული თავისუფლება ქალსა; როგორც ჩვენში საცოლო ყმაწვილი კაცები, ისე იქ გასათხოვარი ქალები თავისუფლებით ჰმსვლელობენ და პატივი ჰსძევთ ისეთი, რომ, მაგალითად, მრთელი ამერიკა რომ მარტო შემოიაროს ერთმა ქალმა, ყოველი კაცი მოსამსახურე არის იმისი და ხელის გამმართავი და დიაღ ძვირათ მოჰხდება შეგინება იმის პატიოსნებისა ან დარღვევა იმის კეთილ-ზნეობისა, თუ არ შეამცნიეს გავარდნილთაგანი არისო; და რა რომ ეს ქალი, თავის ნებით და ამორჩევით, ქმარს შეირთავს, იმ დღიდამ მოკიდებული თითქმის სულ ხელ აღებულია ქვეყნიერებაზედაცა და საზოგადოებაზედაც. ყოველი ზრუნვა და ყურად-ღება შინაურს საქმეებზედა აქვს მაშინ მიქცეული და შვილების აღზდაზე, ევროპიელმა განათლებამ მხოლოდ ამერიკაში დააყენა ქალი ამ საპატიო ხარისხზე.

ახლა მგონია ადვილათ დავიჯეროთ, რომ ნურ-ალა ვერცა-რას იტყოდა და ვერცა-რას გაჰბედავდა, სადაც, ერთის მხრით, ქმარი ეგულებოდა სრულის უფლების მქონი და, მეორის მხრით, მეტოქე ქმრისა, კაცი, რომლისაგან, ვინ იცის, იქნება უფრო მეტს გამოელოდა ალერსსა და ფუფუნებასა.

კარგად დაემართა, თუ ავად, ამას ახლა შევიტყობთ.

II

ნაზიმათ

საპოლიტიკო ქვეყნის დაწყობილება კაცის საქმე არის და კაცის საქმე სრული—ჯერ არსად არ გამოჩენილა. ბუნება ქვეყნისა და ფიზიკური მოწყობილება არის შემოქმედის საქმე. ყოვლად და ყოვლითურთ სრული, იქამდის სრული, რომ ქვეყნის დაარსებითგან კაცობრივს გონიერებას ჯერ ვერსად განუცდია და ამ მიზეზით ზოგიერთი ქვეყნის თვისება ზოგს მეტად მოგვწონს და ზოგიერთს ზოგნი დიდად ვიწუნებთ.

ავად შენი მტერი—ავი რამ სამყოფი ზაფხულში სამარყანდი იყოს. და ნუ მოგიშალოს ღმერთმა ისეთი საცხოვრებელი, როგორც გაზაფხულზე ის არის; ნუ მომაგონებინებ, ნუ შემიყვან იქაური გაზაფხულის დაწვრილებითს აღწერაში, თუ არ გინდა, რომ გული დაღონდეს იქიდან შორს მყოფობითა: იქაური მარტი, აპრილი და მაისის, აქაური მარტი, აპრილი და მაისის შედარებით!—ცა მოცინარი, ქვეყანა მოლხინარი; მზე ცხოველმყოფელი; მდელო, მცენარი, ყოველი არხი და სულდგმული, ხელ-ახლად შემომავალნი ბუნების დღეობის ლხინში, სადაც მხიარულებით მაშვრალნი ჯგუფად და ჯგუფად, წყვილად-და-წყვილად, ზოგნი აქ განისვენებენ, ზოგნი იქ მუსაიფობენ და ისევ ირევიან საერთო ფუფუნებაში, სიამოვნებაში და დაუცხრომელს სამეჯლისო მოძრაობაში... როგორ გამოსთქვას კაცმა თვისება იქაურის გაზაფხულისა!.. ხმოვანი—ჰხმობს, მგალობელი—ჰგალობს, მეტყველი—მეტყველებს, მღაღადებელი—ჰღაღადებს, მდელონი—ჰბიბინებენ, მდინარენი—მჩქეფარებენ, ცხოველნი—ჰმქშენარებენ, ჰსისინებენ, ჰსწიწინებენ, ჰსჭრიჭინებენ, ჰყიყინებენ, ჰყაყანებენ, ჰფრიალებენ, ჰხშრიალებენ, ღრუტუნებენ, ჰბუტბუტობენ, ჰგრგვინვარებენ და ასე შეათანხმებს ყოველი ქმნილი და გაჩენილი ერთს საორატორიო ხმოვანებას ღვთის სადიდებელსა და ჯერეთ საოცნებელსა მოცარტისათვისაც, ჰეიდენისათვისაც და სხვათა ყოველთა საკვირველ-ნიჭიერთა მოსაკრავეთათვისაცა!!.

ასე გასინჯე, ერთმა იქაური გაზაფხულის მოგონებამ ისე წარმიტაცა, რომ თითქმის სამწიგნობრო კილოთი ამალაპარაკა შენთანა, ჩემო თეიმურაზ.

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უსჯულოთასა“.

ურჯულოს ვეძახით თათრებსა, თუმცა იქნება ჩვენზე უფრო მტკიცედაც ადგნენ თავისს სჯულსა და იქნება ზნეობითაც ბევრი იმათგანი ბევრს ჩვენგანსა სჯობდეს. მაშ იმ აზრით მივიღოთ ეს მეფსალმუნე წინასწარმეტყველის ლექსი, რა აზრითაც უთქვამს, იმ უსჯულოებზე, რომელთაც კეთილი, ჭეშმარიტი და ალსაარებელი არა სწამთრა, და თუნდა ნუ მივალთ, ისე გაუაროთ, შევხედოთ და ყური დავუგდოთ აი ამ ოთხიოდე კაცის საუბარსა, ცაცხვს ქვეშ რომ დამსხდარან და თითქო ქვეყნის საქმეებს არჩევენო.

მოგეხსენება, ახლანდელს მწერალს, მოამბეს დიდი რამ უფლება აქვს მითვისებული: სადაც უნდა შეგახედებს, როდინდელიც უნდა—იმ დროინდელს საქმეს თვალწინ წამოგიყენებს, რაც სივრცე უნდა—ერთს წამს მოგატარებს; შეუძლია ახლავე, ამ ერთს წამს პეკინი გაჩვენოს, დედა-ქალაქი ცას-ქვეშეთის იმპერიისა; იქიდან ლონდონს გადაგასკუპოს, სადაც რაც მთელს კავკასიას ხალხი ასხია, იმდენი მარტო იმ ქალაქში სცხოვრობს და იქ სამრთელ-ქვეყნო ბაზარი მოგატაროს; ამერიკას გადაგაფრინოს და იქაური უმაგალითო ჩხუბები გაჩვენოს, სადაც ათი-ათასობითა ჰსწყდება განათლებული ხალხი, რომელიც ერთის მხრით იძახის—თავისუფლება უნდა მიეცეს თქვენს ნასყიდს აბრეშუმსო და მეორეს მხრით—უიმათოთ თავი რაღათ გვინდა ცოცხალიო;*) მოგაფრინოს და რკინის გზით მოგაგრიალოს პეტერბურგს და გაგაცვიფროს ამ მყინვარეს ქვეყანაში და საფლობს ჭაობზე აშენებულის ქალაქის ნახვითა; აგიყვანოს, დაგიყვანოს, სტამბოლს ხვანთქრის (ხუნქიარ) საწოლში შეგახედოს, მართლა ერთი ცოლის მეტი აღარა ჰყავს, თუ ისევ ასეულად უსხედანო; თეირანში ყეენის ყალიონი მოგაწევინოს, შირაზის ღვინო გასვას, იქაური ქალებისათვის გაალერსებინოს,—ნუ გენაღვლება რომ ძვრისაგან არის შირაზი დანგრეული—და ისევ ისე მიგიყვანოს სამარყანდსა, თითქო აინუნშიაც არა ვყოფილვართო. მეც, ეს ყარიბი ლიტერატორი, მაგრამ ამ საოცარის უფლებით მოსილი, თვალ-წინ წამოგიყენებ და შენის ყურით გაგაგონებინებ, რასაც ის ოთხი თათარი ცაცხვ-ქვეშ ლაპარაკობდნენ, წელსა 1828-სა, თვესა მაისის დამლევსა.

— რა ვქნა, როგორღაც იმ ყიზილბაშს მომაგონებს ეს ჰაჯი-ისქენდერა, ამ ხუთექვს წელიწადს წინეთ რომ აქ იყო და მაჰმადუსეინას რომ აბრეშუმს ევაჭრებოდა.

— რომელ ყიზილბაშს? აი, ქელ-ბალაი—ჰასანას ქალი რომ ითხოვა, რა ერქვა, აღარ მახსოვს, ალლავერდის ეძახდნენ, თუ ალლაიარსა... ალლაიარსა, მგონია!

— დიაღ, მგონია, ალლაიარს ეძახდნენ,—სწორედ იმას!

— დიდ-არს ალლაჰი და მაჰმად თვინიერი წინასწარმეტყველი მისი. აკი ხმა იყო მოკვდაო, გველმა უკბინა, თუ ცხენმა დასწიხლა, მაგრამ მაინც კი მოკვდაო, ამბობდნენ. რომ არ მომკვდარიყო, იმის ცოლს ეს ჩვენი ნასრ-ულლა როგორ შეირთამდა?

— ეჰ! ვინ იცის, რამდენი რა მოხდება დუნიაზედა. ჩვენი ნასრ-ულლა არ იყოს: რა დიდი ხანია ისე ღარიბი იყო, რომ ზედაც არავინ შეაფურთხებდა!

— მახლას! მაშინ არავინ შეაფურთხებდა და ახლა? მე გითხრა, იმისი სახლი და ბაღი ხანს არ შეშვენის! მე გითხრა, დუქნები არა აქვს სამარყანდში გამართული!

— კურთხეულ არს ცხრა-ას-ოთხმოც-და-ცხრამეტი სახელი ალლასი და მაჰმად მხოლოიჰ ფეხამშარი მისი! ფული? მამლებიც ველარა ჰკენკენ, იმდენი ექნებაო!

— ფული და ფული! შენ სახელი თქვი იმისი, ხმა თქვი, სად არ არი გავარდნილი? მოყვრობა იკითხე, ვის დაემოყვრა ახლა!

— ვის დაემოყვრა? ეგ არა შემიტყვია-რა!

— როგორ არა! ხიველმა ულლუ-ბეგმა არ მისცა თავისი ქალი, თავისი მზეთუნახავი ნაზიმათი! საკვირველს რასმე ამბობენ იმ ქალის მშვენიერებასა; ამ მხარეზე იმისთანა ჯერ არა დაბადებულა-რაო. ნურ-ალა იმას მოახლეთაც არ ეკადრებაო.

— ბაი, ბაიჰ! ნეტა თუ აგრეთი რამ იყოს.

— ასე გამიგონია, იმისთანა ქვეყნიერი მნათობი ჯერ ცასქვეშეთში არა ნახულაო.

— ალბად და, ბედნიერი კაცი ყოფილა ნასრ-ულლა, ამას თქმა აღარ უნდა.

— მაგასაც ამბობენ, ვითამ ნასრ-ულლას ებრძანებინოს ნაზიმათს უნდა ემსახურებოდე ხოლმეო და ამსახურებს თურმე კიდეცა. მაგრამ ეჰ! რა ჩვენი საქმეა ამისი ლაპარაკი! გვეტყობა ცოლიანები ვყოფილვართ ჩვენცა, დასწყევლოს!.. თითქო სუნით შეიტყობენ ხოლმე ჩვენი ცოლები ამისთანა საქმეებსა.

— მე ისევ იქა ვარ, იმ ყიზილბაშთანა! ეტყობა კი, ალლაიარი არ არის; ალლაიარი რო ყოფილიყო, ამ ქალაქში ნაცნობი როგორ არავინ ეყოლებოდა! სწორედ ახალი მოსულია, ვილაც არის. აგრე რამ გაალარიბა? ნასრ-ულლას ამბავს-კი უფრო კითხულობს თურმე.

— ეგ რა გასაკვირველია! ვინ არის ახლა, რომ იმისს ამბავს არა კითხულობდეს.

— დიაღ არავინ! კარგად კი ჩამოცხა დღესა, თუ თქვენც იტყვით.

— რა მაგისი პასუხია და ახალი ამბავი შეგიტყვია თუ არა? გურჯისტანი სულ დაუპყრიათ ყიზილბაშებსა!

— ფუჰ! იქნება მართლა?

— მართალია თუ არა, ხწორე არავინ იცის. ამბობენ, ვითომ ერთი ვილაც იარმალოუ მჯდარიყოს ბეგლარ-ბეგათაო და მაგიერად ურუსთ ფაჰდიშას სხვა ვილაც ფესქოუჩი გამოეგზავნოსო. აბბას-მირზას რომ ეს შეუტყვია, დრო ახლა არისო, თქვამს,—ფეთ-ალი-შაჰს მაშინვე გამოსთხოვებია, გაუწევია და სამასი ათასი რაზმი ჯარით თავდასხმია იმ ფესქოუჩსაო. ჩვენს დოსტ-მუჰამედს არაფრად თურმე მოსწონებია ეს ამბავი: ერთი კაცი იშტარხნისაკენ უფრენია, მეორე—შაქი შირვანისაკენა, სწორე შემიტყეთ რამეო და ჯერ კი არც ერთი არ დაბრუნებულაო.

— ნეტა ან დოსტ-მუჰამედს რა ჰსცხელა, ან ჩვენა! მე ეს ვიცი, რომ თუ ყიზილბაშებმა ჩვენ ვერა დაგვაკლეს რა, ვერცა რას გურჯებს დააკლებენ და ვერცა რას ურუსებსა.

ჩვენ რაღა გვცხელა, ჩემო თეიმურაზ, რასაც ესენი მიედ-მოედებიან—ეს ხომ ვიცით, რომ სწორე ამბავი არ სცოდნიათ და დავანებოთ თავი; ახლა სხვაგან შევიხედოთ სადმე.

აგერ, ქალაქის ბოლოს რომ ბაღებია, იქ ერთ ბაღში კარების პირდაპირ, ვილაც ქა-

---

*) როდესაც ეს ამბავი იწერებოდა, მაშინ იყო იქ დიდი ჩხუბები.

ლი და კაცი სხედან ჩრდილში და მუსაიფობენ. მოდი ახლოს გაუაროთ და, თუ გინდა, შევხედოთ კიდეცა.

აცა-აცა! ეს ხომ ჩვენი ნასრ-ულლაა! ქალიჰ? ოჰ! ღმერთო! რა მშვენიერი რამ არის! ღმერთო! შენ დაგვიხსენ განსაცდელისაგან! არა, ძმაო, წამოდი, აქეთ წამოდი, თორემ რა ხუმრობაა! ვერ უყურებ! ნასრ-ულლა ხომ ქმარია იმისი, მაგრამ თითქო ჭკუაზედ შემცდარიაო, თითქო გაგიჟებულიაო, ისე უალერსებს. გამოვეცალნეთ, თორემ აქაურს ჰაერს რაღა ეს უნდა, რომ სისხლი უდუღს კაცსა და გულის თქმა ცეცხლად ედება.

აგერ- ვიღაც გლახა მოდის ჩათლახი ცხენითა და იმას ვადევნოთ თვალი, ესა სჯობია! უყურეთ ერთი: ესეც იქით იცქირება, იმ ქალისკენა. ვაი! შენი ბრალი, საცოდავო! მოდი ახლა და ნუ გაგიკვირდება, რომ ღვთის გაჩენილი ჰქვია იმასაც და ამასაც.

— ღვთის გულისათვის, ბატონებო, ერთი წყალი მასვით გლახაკსა და მაშვრალსა,— თქვენის ღვთის გულისათვისაო, მიაძახა ბალში ამ საწყალმა.

— მაცალე, ნაზიმათ, წყალს მიუტან გლახასა და ამავ წამს მოვალ! მაგრამ არა! შენ მიუტანე, ჩემო სალოცველო, შენ გაკურთხოს, ჩემო კურთხევაო!

და ნაზიმათი, ეს საოცარი მშვენიერება, ეს ნეტარსაყნოსი ყვავილი აღმოსავლეთისა, სასუფევლური ოცნება მართალის მაჰმადიანისა,—ეს წარჩინებული მხატვრობა უზესთაესის მხატვრისა, მივიდა კართან, გაალო და მიაწოდა წყლის საცივი ქაშანური გლახაკსა. ბედნიერი ქმარი ნეტარების თვალით შეჰყურებდა ამ ღვთის სათნო საქმესა.

— შენ გაკუთხოს ყოვლად-ძლიერმა ბედნიერებითა და ქმრის სიყვარულითაო,— უთხრა ქალს მათხოვარმა და დასწვდა ლიტრის გამოსართმევად. დასწვდა და ლიტრა ბაღის პატრონს შესტყორცნა; დასტაცა ნაზიმათს ხელი და, უეცრებით შეშინებული, გულ-წასული, ცხენს შემოიგდო.

— სალამ-ალეიქუმ! ნასრ-ულლა-აღა! გმადლობ სწავლებისათვისაო, მიაძახა და აბა ჰა!.. ნასრ-ულლას აღარა უნახავს რა.

რა გუნებაზე დარჩებოდა, შენ იფიქრე: ქვეყნიერი ბედნიერება აღარა აკლდა-რა და მყისად შეემუსრა, შემოემსხვრა ყოველივე, შენს მტერსაც დამართვია, რაც იმას დაემართა მეთქი, ვიტყოდი, წყევლა რომ ჩვენი შესაფერი ყოფილიყო.

იმისი თოთხმეტ-თუთხმეტის წლის თურქმენული ცხენი სადღა მიეწევოდა ალლაიარის ექვსიოდე წლის ცხენსა, თურქმენულად გაწვრთნილსა!

ალლაიარი ხომ, რაღა თქმა უნდა, სად ნურ-აღა, სად ნაზიმათ! როგორ იფიქრებდა ნურ-აღასთან იმ ბედნიერებასა, რაც ნაზიმათთან მიეცა.

ეს რომ 1828-ში მოხდა, 1838-ში ვიყავით რეშტსა და იქ ვნახეთ სამი ვაჟი და ერთი ქალი სპარსეთის მარგალიტები. ალლაიარისა და ნაზიმათის შვილები იყვნენ.

ის დაუფასებელი ცხენი კი აღარა ჰყავდა მაშინ; უპირველესს საჯინიბოშიება იმ ქვეყნისაში.

კარგი, რომ სხვა მაინც აღარა წაართვესრა ალლაიარსა და საშინაო ყოფა-ცხოვრებაში მაინც არავინ წაეცილა ძლიერთაგანი!

ამ დარიგებით ცხენის გამოზდა მართლა ადვილი უნდა იყოს, მაგრამ ამ დარიგებით ცოლის შოვნაც ყოველთვის ასე შეიძლება თუ არა, ამისი რა მოგახსენო; ან კი რაში გვეკითხება ეს ჩვენა, ქრისტიანებსა?!

ზაქარ ქართლელი (დიმიტრი ყიფიანი) *).

1862 წ. ნოემბერი.
სოფ. სვიმონქახუ.

საზღვარ-გარედ

ირლანდია. ინგლისის მთავრობამ ყოყმანს თავი დაანება და ენერგიულ ზომებს მიჰყო ხელი ირლანდიელების მოძრაობის წინააღმდეგ. ირლანდიის მმართველის განკარგულებით რამდენიმე ოლქში შემოღებულია ეგრედ წოდებული საგანგებო კანონები. „დეილი ნიუს“-ის სიტყვით, მთავრობის ეს განკარგულება ნიშნავს იმას, რომ „შემშინებლებს“ (ე. ი. იმათ, ვინც დაბეჩავებულ და გამხდადებულ ირლანდიელს მთავრობის წინააღმდეგობას აბედვინებს ბოიკოტის ან სხვა რამე სახით) და „უკანონო კრების“ მონაწილეებს გაასამართლებენ სამართლის შემოკლებულ წესით, საგანგებოჟიურის შემწეობით და ისეთ ადგილს, სადაც ეს მთავრობას უფრო მოხერხებულად მიაჩნია (ე. ი. იქ, სადაც მოსამართლე ირლანდიელის თანამგრძნობი არ იქნება). ახალი ზომა არ არის მიმართული პირდაპირ აგრარულ ლიგის წინააღმდეგ (ეს ლიგა უკანონოდ არ არის გამოცხადებული), მაგრამო, ამბობს იგივე გაზეთი, ლიგის მოქმედების წინააღმდეგ მიმართულია საგანგებო კანონების ის მოშხამული იარაღი, რომელსაც მწუხარებისა და სასოწარკვეთილების მეტი არა მოუტანია—რა უბედურ ქვეყნისათვის, რომელსაც ასე სტანჯავს მთავრობაო.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სიტყვების დამწერი და მთქმელი ინგლისელი მამულის შვილია; მას გული სტკივა, როცა მისი მთავრობა უსამართლოდ იქცევა, სახელს უტეხს მის დიდებულ სამშობლოს და მერე რა სარგებლობისათვის?

საგანგებო კანონები არა ერთხელ იყო შემოღებული ირლანდიაში, მაგრამ „დეილი ნიუს“-ის არ იყოს, ირლანდიელის გაუბედურებისა და გაბოროტების მეტი არაფერი შედეგი ჰქონია. ინგლისელმა ლიბერალმა კარგად იცის, რომ საგანგებო წესებსა და ძალ-მომრეობას ჯერ არსად ხალხი არ დაუმშვიდებია და დაუკმაყოფილებია, ისიც იცის, რომ ამ დამშვიდებისა და დაკმაყოფილებისათვის საჭიროა სამართლიანი პოლიტიკა, ამ შემთხვევაში სრულ თვით-მმართველობისა და მიწის მინიჭება ირლანდიელებისადმი.

თუ ინგლისელი ასე უკმაყოფილოა თავის მთავრობისა და ასეთის სიმწარით ლაპარაკობს მის პოლიტიკაზე, რა საკვირველია, რომ ირლანდიელი მეტს უკმაყოფილებას და სიმწარეს იჩენდეს. „ინგლისის მთავრობაო, სწერს ერთი ირლანდიული გაზეთი, ისევ ძველ გზას დაადგა ირლანდიაში. მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევას ისევე იდღესასწაულებენ ირლანდიაში, როგორც დედოფალ ვიქტორიას იუბილეის (დიდი მანიფესტაციები იყო. ინგლისის წინააღმდეგ)“. „ჩვენ ეჭვი გვაქვსო, სწერს მეორე, რომ ინგლისის მეფემ მადლობა უთხრას იმას, ვინც ირლანდიას გვირგვინის კურთხევის საჩუქრად ბორკილი უძღვნა“.

გარდა მწარე და უკმაყოფილო კილოსა, ირლანდიურ პრესაში იმედი და გაბედულებაც ისმის: „ჩვენ კმაყოფილი ვართ, სწერს „აირიშ პიპლ“-ი, რომ ირლანდიის სასახლის ბატონებმა ომი გამოუცხადეს ჩვენ მებრძოლებს. ჩვენც ვიბრძოლებთ!“

ეს ცალიერი სიტყვები არ არის: ბევრჯელ დაამტკიცეს კიდეც ირლანდიელ მამულისშვილებმა, რომ მათ მედგარი და თავდადებული ბრძოლა იციან თავის ქვეყნისა და უფლებებისათვის. ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ ძალ-მომრეობითა და უსამართლობით შეგნებულ და გათვით-ცნობიერებულ ერთან ვერას გახდება, და იძულებული შეიქნება—ან შესცვალოს პოლიტიკა ან და ადგილი დაუთმოს ლიბერალურ ოპოზიციას, რომელსაც უკეთ ესმის ეხლანდელი მდგომარეობა და უკეთ გაუძლვება მას.

იტალია, ტრიპოლისი და ალბანია. აბაშეთში (აბისინია) დამარცხების შემდეგ იტალია იძულებული შეიქნა დროებით თავი დაენებებია აქტიურ საახალშენო პოლიტიკისათვის, მაგრამ სხვა სახელმწიფოების გაძლიერებულმა აქტიურმა პოლიტიკამ ისევ შესძრა იტალიური საზოგადოება და თვალი ისევ აფრიკისაკენ დააჰერინა.

როგორც ვიცით, იტალია და საფრანგეთი შეთანხმდნენ და საფრანგეთმა ოსმალეთის სამფლობელო ტრიპოლისი იტალიის გავლენის სფერაში მყოფად იცნო. პირველში ეს შეთანხმება ყველამ ისე გაიგო, რომ საფრანგეთი უარს ამბობს ტრიპოლისის დაპყრობაზე, მხოლოდ იტალია თუ დაუყოვნებლივ შეუდგებოდა თავის განზრახვის ასრულებას—ტრიპოლისის დაპყრობას, ეს არავის ეგონა: იტალია ჯერ კიდევ ვერ გამაგრებულა შინ ადუასთან დამარცხების შემდეგ და ასეთ მდგომარეობაში ძნელია სახელმწიფო ისეთ საქმეს შეუდგეს, როგორც ახალ ქვეყნის დაპყრობაა. მაგრამ, როგორც სჩანს, იტალიას აღარ ასვენებს ევროპის სხვა სახელმწიფოების დაფნის გვირგვინები საახალშენო პოლიტიკისა და დღითი-დღე იზრდება საზოგადოებრივ აზრის მოძრაობა ტრიპოლისში აქტიურ პოლიტიკის დაწყების სასარგებლოდ. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ტრიპოლისის დაპყრობა უახლოვესი მიზანია იტალიის მთავრობისა. გაზეთები მარტო ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს როდი ბეჭდენ ტრიპოლისზე—ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ დადგა დღე, როცა იტალიამ გაბედვით უნდა იმოქმედოს და ტრიპოლისში წავიდეს. ნახატებიან ჟურნალებში ქ. ტრიპოლისი, მიდამოები და მცხოვრებლების ტიპებია დახატული: ყველა სცდილობს შეაჩვიონ საზოგადოება, რომ ტრიპოლისი იტალიელების სამფლობელოა. ოსმალეთს არავინ ახსენებს და თუ ახსენებს, აგდებულად და დაცინვით: ოსმალეთის ჯარი ანგარიშში მისაღები არ არის, რადგან მან ვერა მოუხერხა-რა არაბებს, რომელნიც სრულებით არ მალავენ თავიანთ სურვილს, რომ მალე იქმნას შემოღებული ტრიპოლისში იტალიური წეს-წყობილებაო.

ეხლა ხან დაიბეჭდა იმ რკინის გზების გეგმა, რომელიც უნდა გაიყანონ ტრიპოლისის საექსპლოატაციოდ. კარლოდი რუდინი, შვილი ყოფილ მინისტრისა, დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში; განზრახვა არის საფრანგეთის კაპიტალისტებიც გაიხადონ საქმის მონაწილედ. სხვა პროექტებიც არსებობს და, როგორც ირწმუნებიან, ბევრ იტალიელ პოლიტიკურ მოღვაწეს კიდეც შეუძენიათ მამულები ტრიპოლისში ძალიან კარგის პირობებით.

ყველა ზემოხსენებული იმის ნიშანია, რომ იტალიის მთავრობა მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას ეძებს ტრიპოლისის ხელში ჩასაგდებად.

✿ იტალიის ჟურნალ-გაზეთობა, ეს ერთი ხანია მეტის სიმკაცრითა და გულმოსულობით ლაპარაკობს ავსტრიაზე და მის პოლიტიკაზე: პრესსა სცდილობს აღნუსხოს სულ უმცირესი შემთხვევაც-კი, რომელიც ხდება დალმაციაში, სადაც გამწვავებული ეროვნული ბრძოლაა იტალიელებსა და კროატებ შორის, ასეთისავე გულმოდგინებით თვალყურს ადევნებენ იტალიელები ალბანიის საქმეებს. ალბანია დიდ ხანს ვენეციელების ხელში იყო: ქალაქებს იტალიური სახელები აქვს, იტალიელებიც ბევრია ამ პროვინციაში, ალბანელი რევოლიუციონერები მეტწილად იტალიაში სცხოვრობენ და იქიდან მოქმედებენ თავის ქვეყნის გასანთავისუფლებლად. ამიტომაც არის, რომ იტალია გულგრილად ვერ უყურებს ალბანიის საქმეებს და ყოველ ღონეს ღონობს ავსტრიის პოლიტიკა უნაყოფო გახადოს ამ მხარეში.

ზოგიერთ პოლიტიკოსების აზრით, ტრიპოლისის დაპყრობას და იტალიის ალბანურ პოლიტიკას შუა უთუოდ კავშირი უნდა არსებობდეს.

სამხრეთ-აფრიკა. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება ლონდონიდან: „ოფიციალურ განცხადებით, ბურების მეთაურებმა გადასწყვიტეს მოახდინონ სახალხო წარმომადგენელთა არჩევანი; ამ წარმომადგენელთა კრება განიხილავს ზავის პირობებს; კიტჩენერი დროებით, ზავის ფორმალურად ჩამოუგდებლად, თანახმაა ხელი არ შეუშალოს კრებას.

პარლამენტში, ბირჟაზე და საზოგადოებაში დიდი იმედი აქვთ ომის გათავებისა“.

ახალი ამბავი

◆ ამ დღეებში ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა **დავა ხაზინასა და როტშილდს შუა** რომნაში 14 დესეტინა სანავთო ადგილის შესახებ. ხაზინამ წინადადება მისცა როტშილდს შემოიტანოს თითო დესეტინაზე 120 ათასი მანათი, რადგან ადგილი სახაზინო არისო. როტშილდმა უარი განაცხადა და ამტკიცებდა—ადგილი კარგა ხანია ჩემი საკუთრება არისო. პალატამ დაასრულა საქმის განხილვა, ხოლო განაჩენის გამოცხადება 22 აპრილისათვის დანიშნა.

◆ ამას წინად ვაუწყეთ მკითხველთ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა—გააძლიეროს წელს სახელმწიფო გლეხების **მიწად-მფლობელობის გაწესრიგების საქმე,** რისთვისაც 1-ლ ივლისიდან უმატებენ გამიჯვნელთა და სხვა მოხელეთა შტატებს. ახლა პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ სამინისტროს თავის კავკასიელ რწმუნებულის განკარგულებაში გადაუდვია გაძლიერებული კრედიტი სამის თვით.

◆ ქალაქის საექიმო-სასანიტარო საბჭომ ერთი სასიამოვნო საქმე განიზრახა: გადაწყვიტა მოაწყოს **ღამით ექიმების მორიგეობა** თავის ცენტრალურ საავადმყოფოსა და განყოფილებებში. ღამით მორიგეობაში საქალაქო ექიმებს განსაკურებულს ჯილდოს მისცემენ, ასე რომ ექიმებმა მუქთად უნდა გაუწიონ დახმარება ხელ მოკლე მცხოვრებთ. ეს დადგენილება დასამტკიცებლად საბჭოს წარედგინება.

◆ იმავე საბჭომ განიზრახა საავადმყოფოს კუკიის განყოფილებისათვის **ექიმი-ქალი** მოიწვიოს.

◆ პარასკევს, 12 აპრილს, ქალაქის მე-6 საპოლიციო უბანში შემდეგი **მკვლელობა მოხდა:** თავის ბინაზე მოჰკლეს 75 წლის მოხუცი აღა-ალაკპერ ისმაილ-ოღლი; მკვლელი, 15 წლის ყმაწვილი მაჰმად-მაშადი კასუმ-ოღლი, სადღაც მიმალა. მკვლელობის მიზეზად შურის-ძიებას ასახელებენ.

◆ ოთხშაბათს, 17 აპრილს, ტფ. არტისტიულ საზოგადოების შენობაში დანიშნულია კრება კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელ** საზოგადოების დამფუძნებელთა. კრებამ საზოგადოების გამგეობა უნდა აირჩიოს.

◆ კავკასიის **საექიმო საზოგადოების** წლიური კრება მოხდება ხუთშაბათს, 25 აპრილს.

◆ გუშინ შუადღიდან, დღესასწაულების გამო, ორის დღით შესწყდა **საქონლის მაცარებლების მიმოსვლა** ამიერ კავკასიის რკინის გზებზე.

◆ საქალაქო გამგეობისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ტფილისის **ელოქტრონულ ტრამვაის** პროექტის შესახებ დასრულდა: საზოგადოება დათანხმდა 20 დახურული ვაგონიც იყოლიოს და ქალაქიც დაკმაყოფილდა ამით, რათა საქმე არ გაჭიანურდეს.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მისცა პოლიციას, თვალ-ყური ადევნოს, რომ აღდგომის 1-ლ დღეს მეეტლეებმა თითო წასვლაში არ გამოართვან 50 კაპ. მეტი, ხოლო თითო საათში—1 მანეთზე მეტი.

◆ წყნეთის ქუჩის მცხოვრებლებმა კიდევ სთხოვეს ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს ხსენებულ ქუჩის მოკირწყვლა, რათა ტრამვაის მოძრაობა წელს მაინც დაიწყოს.

◆ ტფილისის მცხოვრებმა დოლიაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ 12 აპრილს დაიკარგა მისი ოთხი წლის ვაჟი, სოლომონი. პოლიცია შეუდგა ბავშვის ძებნას.

◆ პარასკევს, საღამოს, ცეცხლი გაჩნდა ტფილისის სამხედრო-საისტორიო მუზეუმის ქვედა სართულში; ეს ამბავი მალე გაიგეს და ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

ქუთაისის ახალი ამბები

〰 8 აპრილს კიდევ იყო ქალაქის ადგილების იჯარით გასაცემი ვაჭრობა (მესამე) დანიშნული. ამ ხანად იჯარით უნდა გაეცათ „საფიჩხია-სა და „კახიანოური“-ს ადგილები— საყანეებად, თუ სამოსახლოდ. მსურველი ბევრი გამოჩნდა, ასე რომ სავაჭროდ დანიშნული ნაჭრები თითქმის სულ გაიცა.

〰 ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების მორიგი წლიური კრება, რომელიც მარტის 31-ს, არ შესდგა, ხელმეორედ დანიშნულია ამ თავის 21-ს კვირას. ამ დღეს, რამდენიც უნდა გამოცხადდეს წევრი, კრება კანონიერად ჩაითვლება.

〰 ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება პროფ. პეტრიაშვილის გამოგზავნილი ლაბორანტი ს. გ. მდივანი, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილობრივ შეიმუშავოს განზრახულ ქიმიურ ლაბარატორიის გეგმა.

როგორც მკითხველმა იცის, ხსენებულ ლაბორატორიის საქმის ინიციატივა ეკუთვნის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, ქალაქის გამგეობასა და ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობას, რო

---

*) აწ-განსვენებულნი ჩემი მამა, დიმიტრი ყიფიანი და კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი, როდესაც რასმე აწერდნენ, ურთი-ერთს მიჰმართავდნენ ხოლმე და დიმიტრი ყიფიანი უწოდებდა დადიანს— თეიმურაზად და დადიანი კი ყიფიანს—ზაქარ ქართლელად, რა წოდებასაც მაშინდელს დროში თავის ფსევდონიმათაცა ხმარობდა ქართულს ლიტერატურაში.

კოტე ყიფიანი.

1902 წ. 5 მარტი. სოფ. ქვიშხეთი.

მელთაც იკისრეს საჭირო ხარჯის გამოღება. პროფ. პეტრიაშვილს წარმოუდგენია შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვა: ლაბორატორიის სადგომის აშენება და პირველი მოწყობა 45—50,000 მანეთამდე; ყოველ წლიური ხარჯი გამოანგარიშებულია 13, 9, ან 8 ათასი მანეთი იმის მიხედვით, თუ რამდენი სპეციალისტი იქმნება მოწვეული ლაბორატორიაში სამუშაოდ. თუ 13 ათასი მ. იქნება გადიდებული, ფული ეგრე განაწილდება: ლაბორატორიის დირექტორს 3000 მანეთი; უფროსს ლაბორანტს—2000 მან., 2 ლაბორანტს—1500 მანეთი თითოს და სხვა; თუ ნაკლებ ხარჯს გაიღებენ, ჯამაგირებიცა და ლაბორანტებიც ნაკლები იქმნება. ლაბორატორია დაარსებული იქნება იურიდიულად ქალაქის სახელობაზე, ხოლო ხარჯში მონაწილეობას მიიღებენ სხვა-და-სხვა ადგილობრივი დაწესებულებანი. სხვათა შორის, ხარჯში მონაწილეობის მიღება განაცხადა (1000 მან.) ქ. ფოთმა. ჯერ-ჯერობით ამ კეთილ საქმის ინიციატორების განკარგულებაშია, როგორც გადმოგვცეს, 33 ათასი მანეთი. დანარჩენ ფულის შესახებ, შავიქვის მრეწველთა საბჭოს, ქალაქის თვითმმართველობისა და სხვების იმედი აქვს. ყველა მათთან ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს პროფ. პეტრიაშვილის გამოგზავნილ ლაბორანტს ბ. მდივანს საქმის ინიციატორების საყურადღებოდ; კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაც დაინტერესებულია კავკასიაში ხსენებულ ტიპის ლაბორატორიის გახსნაში, რომლის შესახებაც უკვე აღძრა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე თხოვნა და შესაძლებელია საზოგადოებისა და ინიციატორთა შორის რამე შეთანხმება მოხდეს.

∾ 9 აპრილს ქუთაისშიაც კარგად სჩანდა მთვარის დაბნელება. ათის ნახევარზედ დაიწყო და 11 საათამდე სრულიად დაფარული იყო მთვარე, მხოლოდ სიბნელე პირველ საათზე ერთიანად მოჰშორდა მთვარეს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სიბნელე მკრთალი იყო და ალის ფერი გამოსცემდა გადაფარებულ მთვარისაგან, ასე რომ სრულიად სიბნელე არ ჰქონია გარე მორტყმული 9 აპრილის დაბნელებას.

რუსეთის ქრონიკა

∝ საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია შემოიღოს საქალების გიმნაზიაში ფრანგული ენის პრაქტიკული გაკვეთილები, რომელიც ნასადილევს იქნება ხოლმე.

∝ იუსტიციის სამინისტროში დაიწყო მუშაობა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს იურიდიულ ფაკულტეტების პროგრამის გადასინჯვა და ახალის შემუშავება.

∝ მთავრობამ განიზრახა სააფთიაქო მაღაზიების გახსნის ნება ამიერიდან მხოლოდ ფარმაცევტებს მისცეს. ამ ჟამად ადგენენ ამ საქმის წესებს.

∝ პეტერბურგში არსდება საპედაგოგიო კურსები გამოჩენილ პედაგოგ-მეცნიერის უშინსკის სახელობაზე.

∝ გუშინ ტელეგრაფმა მოგვიტანა მეტად საყურადღებო ამბავი ცენტრალურ მთავრობაში ზოგიერთ ცვლილებათა შესახებ. გენ.-ადიუტანტი ვანნოვსკი, რომელიც შარშან დაინიშნა საერო განათლების მინისტრად, სამსახურიდან გამოვიდა; მასთან ერთად გამოვიდა მისი ამხანაგიც მეშჩანინოვი, რომელიც აგრეთვე შარშან იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე. როგორც მკითხველებმა იციან, გენ.-ადიუტანტს ვანნოვსკისა და მის ამხანაგს მძიმე მოვალეობა ჰქონდათ ნაკისრი: ხელმძღვანელობა სწავლა-განათლების საქმის რეფორმისა, რომელიც მთავრობამ განიზრახა და რომლის აღსრულებას კიდეც შეუდგნენ. ამ ჟამად ხსენებულ საქმის ხელმძღვანელთ თავი დაანებეს სამსახურს და განზრახულ რეფორმის საქმის სათავეში სხვა მოღვაწე ჩადგა—საერო განათლების მინისტრის მეორე ამხანაგი და ს. ს. ზენგერი.

ზენგერი ყოფილი პროფესსორია, ხოლო სამინისტროში გადაყვანილ იქმნა ვარშავიდან, სადაც სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო. . .

◆

უცხოეთის წვრილი ამბები

ამერიკული ცირკი პარიზში. გამოჩენილმა ბარნუმმა პარიზში ცირკი გამართა, რომლის მსგავსი თავის დღეში არა ყოფილა-რა ქვეყანაზე. გაზეთები ასე ასწერენ ამ ცირკს:

„ეს ცირკი ორმოც-სართულიანია, ეს ცირკი კი არა, რაღაც უზარ-მაზარი შენობაა. სადაც მოთავსებულია რამდენიმე ცირკები და სამხეცოები მთელის ქვეყნისა.

სცენაზე ერთის მაგივრად სამი ცირკია; ორის მაგივრად ოცი კლოუნია (მასხარა), მთელი ნახირი სპილოებისა, ზღვის ძაღლებისა, ღორებისა, ძაღლებისა, ნასწავლი ცხენების ჯოგი, მთელი რაზმი გიმნასტებისა, ღონიერი ხალხისა, მარბენლებისა. ერთი „არტისტი“ კედელზე მიდებულ კიბეზე დაქანდება ხოლმე ველოსიპედით, ძაღლები ბურთაობას თამაშობენ. ზღვის ძაღლი დოლს უკრავს..

ცირკის ოთახებში უცნაურ რამეს ნახავს კაცი. აგერ „ჯო—ჯო, ძაღლ—კაცა“, რუსული ტანისამოსი აცვია. როგორც ამბობენ, „ის დაბადებულა შუა გულ რუსეთში. იმის დედისა არა იცინ რა. მამას ნადირივით ტყეში უცხოვრია, სადაც ის თავის შვილით ალმოაჩინეს ოც და სამი წლის წინად“ პირი სახე ამ „ჯო—ჯოს“ დაბურული აქვს ხშირის თმით, როგორც ქოფაკ ძაღლს. აი კიდევ ორი ბიჭი-ჩინელები, რომლებიც გვერდებით ერთმანეთზე შეხორცებული არიან. აგერ ანნა ჯონსიც, რომელსაც მშვენიერი წვერი აქვს და ხშირი დიდრონი ულვაშები...

აი გამოპრანჭული ყმაწვილი კაცი, რომელიც მიირთმევს.. ნემსებს. მთელი დუჟინობით აასხამს ძაფზე და გადაყლაპავს. ბატონი ალფონსო, რომელიც ამტკიცებს, რომ ლამპა მეტი ხარჯია ოჯახში. ამის გამო ის დალევს ხოლმე ბლომად კეროსინს, ჩაყლაპავს გძელ პატრუქს, ასე რომ წვერი პირში აქვს გამოყოფილი, მოუკიდებს ცეცხლს, შუშას ჩამოაცომს და გამოვიდა „ლამპა“. ეს ლამპა ანთია, ვიდრე ამ კაცს კუჭში ერთი წვეთი კეროსინი კიდევ უდგა. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. თქმა არ უნდა, რომ აუარებელი მნახველი ესწრება ამ სანახავებს.

* *

სესილ როდსის მეგობარი ქალი. „როდსის სიკვდილის შემდეგ ხალხი აალაპარაკა ერთმა გამოცანა ქალმა, რომელიც შთამომავლობით და ქმრის ნათესაობით უმაღლესს წრის ხალხს ეკუთვნის და ამ ჟამად დამნაშავეთა სკამზეა გამოჭიმული“.

ამ გვარად იწყება გაზეთ „მატენ“ში წერილი კნეინა ეკატირინე როდზივილზე. შემდეგ ოჯახური ყოფა-ცხოვრების აღწერისა ამ არისტოკრატი—ქალისა, გაზეთი განაგრძობს.

„როდესაც კნეინამ პირველადა ნახა სესილ როდსი, საშინლად შეუყვარდა ქალს იგი, როგორც თითონ ქალი ამბობს. როდსმა კი დაიფიცა, რომ არას დროს ვერც ერთი დედაკაცი ვერ დაიჭერს იმის გულში საგრძნობელ ალაგს და ვერც როდისმე იუფლებს მაზე. ხოლო კნეინამ, რომლის წინაც აქამომდე ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ გამაგრებულა, დაიფიცა, რომ დაიმონებს სესილ როდსს, და ერთ ხანად მართლაც თითქო შეისრულა წადილი ქალმა და როდსზე განუსაზღვრელი ზედგავლენა ჰქონდა. ამ გვარად ხაფანგში გაბმული როდსი სამხრეთ აფრიკაში უნდა წასულიყო.

როგორც ეტყობოდა, კნეინას უგონოდ უყვარდა როდსი. როდსის წასვლის შემდეგ, ის გაემგზავრა პეტერბურგს და თან წაიღო დიდ-ძალი აქციები როდსის კომპანიისა. რის ვაი-ვაგლახით მაინც მოახერხა ამ აქციების გასაღება და რამდენიმე ხანი უწყალოდ ჰფლანგავდა ფულებს და წარმოუდგენელს ფუფუნებაში სცხოვრობდა.

მედიდურობით და თავმოყვარეობით დაბრმავებული კნეინა, რომ სესილ როდს უიმისოდ ცხოვრება არ შეუძლიან, კაპშტადტში გაემგზავრა. წასვლის წინად პარიზში კნეინამ გაჰყიდა თავის ბრილიანტები 400,000 ფრანკად; ეს ბრილიანტები 400,000 მანეთად იყო დაფასებული.

სესილ როდსმა კნეინა ძალიან ცივად მიიღო და აგრძნობინა, რომ იგი აფერხებს როდსის დიდების მოყვარეობის მისწრაფებათა განხორციელებას. როდსის ამგვარი საქციელით გულ-ნატკენმა კნეინამ სხვა და სხვა საქმეს მიჰყო ხელი გასართობად. მალე საქმეები სულ აეწეწა, რადგანაც ის იმისთანა ბნელ საქმეებში გაეხვია, რომლისაც არა გაეგებოდა-რა. პირველ ხანებში სესილ როდსი სიამოვნებით ეხმარებოდა იმას; ქალმა გაზეთი გამოსცა, რომ მხარი დაეჭირა როდსის განზრახვათა შესრულებისათვის. თუმცა გაზეთს კარგი გასავალი ჰქონდა, მაგრამ ხარჯი ბევრად მეტი იყო, ვიდრე ამისგან მოტანილი სარგებლობა. ამ დროდან კნეინას საშინლად გაუჭირდა ცხოვრება, რადგანაც როდსი სრულიად არიდებდა თავს.

უცბად მთელ ქვეყანას მოეფინა განსაცვიფრებელი ამბავი, რომ მანდილოსანს, რომელიც ენათესავება პაშკოვებს, დაშკოვებს, როსტოპჩინებს, რჟევუსსკებს, გორჩაკოვებს და გოლიცინებს, თავადი ანტონ რადზივილის ძმის უწარჩინებულესის გვარის კაცის მეუღლეს, ბრალდება ყალბი თამასუქების შედგენა და დაპატიმრებულია კაპშტადტში. ბოლოს გამოაშკარავდა, სესილ როდსის ხელმოწერილი თამასუქები მოდებული იყო მთელ კაპის ახალშენებში. ეს თამასუქები აჩვენეს როდსის, რომელმაცა სთქვა, რომ იმის ხელმოწერილები არ არის, მაგრამ გადახდაზე კი დასთანხმდა. ეს ფული შეადგენდა 400,000 მანეთს. შემდეგ სესილ როდსმა კიდევ გადაიხადა. მაგრამ, როდესაც მოახსენეს იმას, თამასუქები თან და თან მატულობენ, ასე რომ სრულიად დაღუპვას უქადიან იმას, მაშინ იმან უარი განაცხადა გადახდაზე. კნეინა რადზივილი დაპატიმრებული იყო და შემდეგ გაანთავისუფლეს თავდებობით.

ამ დროს გარდაიცვალა სესილ როდსი. ამბობენ, ამ ყალბმა თამასუქებმა ძალიან იმოქმედეს იმაზე და უფრო ადრე მოუსწრაფეს სიცოცხლე. ახლო დამოკიდებულება კნეინასთან იმას დიდი ხანია მოსპობილი ჰქონდა და ბოლოს დროს, როცა ევროპაში მოგზაურობდა, კნეინას რომ არ შეჰვედროდა, მეორე გემში გადაჯდა“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 აპრილი

პეტერბურგი. 12 აპრილს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადეს ღვთივ განსვენებულთ იმპერატორებს ალექსანდრე მეორეს და ალექსანდრე მესამეს, დედოფალს მარიამ ალექსანდრეს ასულს, ცესარევიჩს ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძეს, დიდ მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს უფროსს და დიდ მთავრინათ ოლგა თეოდორეს ასულს და ალექსანდრა პეტრეს ასულს. პანაშვიდს დაესწრნენ დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი ალექსი ალექსანდრეს ძე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე.

ლოძი. დაიწვა ნეიფელდის ფაბრიკა. ზარალი 200,000 მან.

ერევანი. შუამდგომლობა აღძრეს სახელოსნო სკოლის გახსნაზე.

რიაზანი. დღეს მიემგზავრება პეტერბურგს ნეჟინის პოლკის დეპუტაცია, რათა მიულოცოს დიდ მთავრინას მარიამ პავლეს ასულს მისი შეფობის ოც-და-ხუთი წლის შესრულება.

კამიშევი. ბევრ ალაგს იხსნება ერბოს ქარხნები.

მიტავა. კურლიანდიის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ სამაზრო და საზოგადო სამმართველოებში საქმეების წარმოება რუსულს ენაზე სწარმოებდეს, როგორც სახელმწიფო ენაზე.

ვარშავა. გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა ვისლაზე მესამე ხიდის აშენების გამო. ეს ხიდი დაჯდება ხუთ მილიონ ნახევარი; ქალაქს უნდა, ისესხოს ფული.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, ათ აპრილს მთავარ ინტენდანტის თანაშემწედ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი რისტკოვსკი.

13 აპრილი

ლონდონი. მიწის ქვეშ გაყვანილის რკინის გზის ვაგონი ლიანდაგს გადასცდა; 50 კაცი დაჰრილია.

კარლსრუე. იდღესასწაულეს დიდი ჰერცოგის მეფობის 50 წლის იუბილეი; საიმპერიო კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და შეაქო დიდი ჰერცოგი.

განჯა. კალიის კვერცხებს გაუჩნდა ერთგვარი მწერი, რომელმაც ჯებრაილისა და შუშის მაზრებში გაწყვიტა 78% კვერცხებისა. აგრეთვე ბევრი დაიღუპა სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან.

რიაზანი. გუბერნატორი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და კერძო პირნი შეთანხმდნენ, რომ სრულიად მოსპონ სადღესასწაულო ვიზიტები. მის მაგიერ დღესასწაულს მიულოცვენ ერთმანერთს თავად-აზნაურთა საკრებულოში.

ხაბაროვსკი. ჩჟილის პროვინციის სამხრეთით, შანდუნის საზღვარზე, ქალაქ ბუანძუნგთან იუნშიკაის ჯარებს შეტაკება ჰქონდათ ლანდუანის მხედრობასთან. იუნშიკაის მოუკლეს და დაუჭრეს 500 კაცამდე.

ტაშკენტი. მეაბრეშუმეთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ, რომ ნება დართონ აბრეშუმის თესლის გატანისა.

კალიასთან **ბრძოლა** ვერმორელის აპპარატებით **მარჯვეთ მიდის**.

ასხაბადი. ასხაბადის მაზრაში კალიის წინააღმდეგ ბრძოლა მარჯვეთ მიდის როგორც ვერმორელის აპპარატებით, აგრეთვე ნავთით ამოწვით.

მუჩაუ. ჩინეთის ჯარები, ნენინგისაკენ მომავალი, შეეჯახნენ მეამბოხეთ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ მეამბოხენი განფანტეს. მეამბოხეთა ბელადი ხუანგი დასჭრეს და დაატყვევეს.

ლონდონი. პეკინის დიპლომატიური კორპუსი რვა ან ათ დღეში გამოსთქვამს თავის აზრს უცხოელ სარდლებთა წინადადების შესახებ, რომ ტიანძინში კიდევ დარჩეს ევროპიელთა მართვა-გამგეობა.

სევასტოპოლი. ჩამოვიდა გზათა მინისტრი ხილკოვი.

პეტერბურგის ბირჟა 11 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში . . .	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	99	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ. .	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	302½	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	196	„

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18 აპრილს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ქალაქის ადგილი, ზომით 600 ოთხკუთხი საჟ., ქ. ტფილისის მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის საწყობ სადამოქნოსთან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია დაწვრილებითი ანგარიშები განიხილოს გამგეობაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. (6. 3—2)

ნამდვილ კახურ ღვინით მოვაჭრე ამხანაგობა

ველისციხე

გამოფენაზე სხვა-და-სხვა მედლებით დაჯილდოვებული, აცხადებს, რომ მიიღო დიდ-ძალი კახური ღვინო თავის საკუთარი ჴალებიდან და კახეთის სხვა მემამულეთაგანაც. ისყიდება მეტად იაფად:

ვედრო 2 მან. 40 კაპეიკიდან 15 მანეთამდე. ბოთლი 15 კაპეიკიდან 1 მანეთამდე.

ვინც ერთბაშად ბლომად იყიდის, მას კიდევ დაეთმობა და სახლშიაც ღვინო ჩვენის ხარჯით მიუვა.

იმედი გვაქვს, საზოგადოება ყურადღებას მოგვაქცევს.

ადრესი: 1) პუშკინის ქუჩა, გენერ. ტერ-ასატუროვის ყოფილი სახლი; 2) გრაფსკაია ქუჩა და სოლდატ. ბაზარი, ფირსდანოვის სახლი; აგრეთვე სასტუმროებსა და გასტრონომიულ მაღაზიებში. **ტელეფონი № 841.**

(3—3) პატივისცემით **მ. გ. ცარაზოვი მმებით**

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ: მ: წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა